საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტ. ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

№ 7 1921 წ. კვირა მარტის 6

ფასი 50 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პარტიული კრება

კვირას, დილის 11 საათზე სოც.-ფედ. პარტიის მთავარ ბიუროში დანიშნულია წევრთა

## საერთო კრება

განსახილველია შემდეგი საკითხები:

1) პარტიული მუშაობა, 2) პარტიული გაზეთი.

ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

## ტფილისი, კვირა მარტის 6

ჩვენს დიდ ქალაქში არსებობენ ერთი აბირებული დაწესებულება, რომელსაც ეწოდებოდა ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტი როდესაც ქართველ აკადემიურ წრეებში გაჩენილი აზრი ეროვნულ უნივერსიტეტის დაარსების შესახებ სინამდვილეთ უნდა გარდაქცეულიყო და შუამდგომლობაც იყო აღძრული დროებით მთავრობის წინაშე, სწორედ მაშინ ამ ნაბიჯის საწინააღმდეგოთ გადაწყვეტილ იქნა ამ ტფილისში ამიერკავკასიის უნივერსიტეტის გახსნა, როგორც ისეთი დაწესებულების, რომელსაც ხელი უნდა შეეშალა ქართულ უნივერსიტეტისათვის.

დროებითმა მთავრობამ ტელეგრამით გასცა განკარგულება ამიერკავკასიის უნივერსიტეტის გახსნის შესახებ და ნებართვა ქართულ უნივერსიტეტის გახსნისათვის კი ფოსტით გამოგზავნა.

ამ რიგად, ამიერ კავკასიის უნივერსიტეტი წარმოიშვა არა აკადემიურ მოსაზრებათაგან, არამედ პოლიტიკურ ანგარიშით. როგორი იყო ეს პოლიტიკა ეს იყო პოლიტიკა კონტრ-რევოლიუციონურ დროებით მთავრობის დეგენერატ კერენსკის ნეთაურობით, იმ მთავრობის, რომელიც უარყო რუსეთის პროლეტარულმა რევოლიუციამ და კანონს გარეშე გამოაცხადა. ეს იყო არსებითად ძველი თვითმპყრობელობის რუსიფიკატორული პოლიტიკა წარბშეუხრელ იმპერიალიზმით ნაკარნახევი.

როდესაც საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცა, რა თქმა უნდა ეს უნივერსიტეტი ვეღარ იარსებებდა. სახელმწიფო უნივერსიტეტი მაინც აკადემიურ სოლიდარობის ნიადაგზე დარჩა და დახურულ ამიერკავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტობას საშუალება მისცა სწავლა დაემთავრებინა და მათთვის პარალელური განყოფილებანი გახსნა.

დღეს, როგორც ჩვენ გვატყობინებენ, ამიერ-კავკასიის ყოფილ პროფესორთა ერთ ჯგუფს მემორანდუმი წარუდგენია სასწავლო კომისიისათვის, სადაც მოითხოვს ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის კვლავ გახსნას. სხვა ბნელ ძალებთან ერთად, როგორც ეტყობა აკადემიური კონტრ-რევოლიუციონერებმაც წამოყეს თავი და ფიქრობენ, რომ დაუდგათ დრო ძველი გულის ნადების განხორციელებისა.

რედაქციას, სამწუხაროდ, არ აქვს ხელთ მემორანდუმი, რომ იგი არსებითად გაარჩიოს, მაგრამ ამ საკითხის გამო მაინც საჭიროდ მიგვაჩნია მოვახსენოთ მკითხველ საზოგადოებას ჩვენი შეხედულება.

ჩვენ შეგვიძლია სრულიად განზე დავსტოვოთ ეროვნული მოტივი და შევხედოთ საქმეს წმინდა პოლიტიკურის თვალსაზრისით. და აი, სწორედ ამ შეხედულებაში ყოფილ ამიერკავკასიის უნივერსიტეტის პროფესორთა ჯგუფის პრეტენზიები არა მარტო უსაფუძვლოთ — დანაშაულადაც მიგვაჩნია პროლეტარულ რევოლიუციის თვალსაზრისით.

უნივერსიტეტი გახსნილია, როგორც აღვნიშნეთ, კონტრ-რევოლიუციონურ მთავრობის მიერ თვითმპყრობლობის პოლიტიკის გასაგრძობად. ვინც ასეთი დაწესებულების განახლებას მოითხოვს დღევანდელ პირობებში, ის ან ვერ არჩევს პროლეტარულ რევოლიუციას ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლიუციისაგან, ან და პირველზე ამოფარებით სურს თავისი ბნელი საქმე გააკეთოს. ორივე შემთხვევაში ამ ვაჟბატონებს, მეტ-ნაკლებად, მაგრამ აუცილებლად ყურების აწევა უნდა.

როდესაც დენიკინმა რუსეთში თავი წამოყო და კონტრ-რევოლიუცია საგრძნობ ძალად გარდაიქცა, ამიერ კავკასიის უნივერსიტეტი მის წარმატებას ბანს აძლევდა და თავის სამეურნეო ხარჯებს დონის ფულებით აწარმოებდა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დენიკინი რომ გამარჯვებულიყო და დენიკინი რუსეთში დამკვიდრების შემდეგ, ჩვენში შემოსულიყო ყოფილი ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის მესვეურები მის წინაშეც იმავე შინაარსის განცხადებით წარსდგებოდნენ; განსხვავება ის იქნებოდა, რომ ნაცვლად „მემორანდუმისა“ მათ უსტირს „ვსეპოდანნეიშეე დონესენიე“ დაერქმეოდა.

დღეს ჩვენში შემოვიდა წითელი არმია და ამ მეცნიერულ ლაქიებს ჰგონიათ, რომ აქაც მოხერხდება რაიმე „კომბინაცია“. ჩვენ გვგონია, რომ მათი ფარული ზრახვებს და უწმინდურ მეცადინეობას ამ ბოლოს ყველა შეამჩნევს და სამი თითისაგან შემდგარ კომბინაციით უპასუხებს.

არსებითად, ჩვენ პატივისმცემელნი ვართ რუსული კულტურისა ჩვენი ინტელიგენცია რუსულ კულტურის ნიადაგზეა აღზრდილი და ჯეროვნადაც აფასებს მას. თუ ჩვენში ვისმე საჭიროდ მიაჩნია რუსულ კულტურის კერასთან კავშირის დაჭერა სწორედ ამ მიზნისათვის მავნებელია ამიერ კავკასიაში რუსული უნივერსიტეტის შექმნა. უკანასკნელი ყოველთვის გარდაიქცევა ადგილობრივ ეროვნებათა მეტოქეობის და შურის სარბიელად და ვერასოდეს ვერ მიაღწევს იმ მდგომარეობას, რომლითაც ბრწყინავდა მოსკოვისა და პეტროგრადის უნივერსიტეტები. ეს ნამდვილი ფრანგულის — „ნიჟეგოროდის“ ფრანგულით შეცვლა იქნება. ერგული მეგობარი და მცოდნე რუსული კულტურის, თუ ის პოლიტიკური არ არის, არასოდეს არ მოისურვებს ამიერკავკასიაში შეაჩეროს ახალგაზრდობა რუსული უნივერსიტეტის რაღაც „უბლიუდოკით“ ცხებულ ამიერკავკასიის უნივერსიტეტის მოქომაგენიც სწორედ ასეთი პოლიტიკანებია და მათში ეჩმიაძინის აკადემიის კლერიკალიზმით დამთვრალი ხალხი უფრო მეტია, ვიდრე რუსული მეცნიერების პირუთვნელი მეგობრები.

სწორედ ამ პირებმა ამიერკავკასიის უნივერსიტეტი ხამელეონიზმის ინსტიტუტად გარდააქციეს.

## ფიქრები

### ფურცელი 2.

ხვალ ჩვენ მეცნიერების ტაძარში — სახელმწიფო უნივერსიტეტში და ყველა სკოლებში ნორმალური სწავლა იწყება, და ჩვენი საზოგადოება გულის ფანცქალით ადევნებს თვალს მის მაჯის ცემას.

მართლაც ჩვენი ახალგაზრდობა ბარომეტრია ერის ცხოვრებისა, რომელსაც სჭირია გაათასკეცებული სიფხიზლით მოვლა და პატრონობა, მისი სკოლის მკვიდრ ეროვნულ ნიადაგზე დაყენება; შეიხედეთ დაბალ სკოლაში, ნახავთ თქვენ ბავშს — სრულიად ნორჩ პატარა ადამიანს, რომელსაც თავისი აზრი, სურვილი და წადილი აქვს; მას სჭირდება დედა-ენაზე განვითარება, მშობლიური ენით გაგონება მისი აღზრდა-განვითარებისათვის, და ვინც მოინდომებს ამის ხელის შეშლას, იგი პირველად წყეული იქნება მათ მიერ...

ჩვენი სტუდენტობა, ეს ხომ სარკეა ჩვენი ერის აზროვნებისა, — ცხოვრება, პოლიტიკა და მეცნიერება ისე მჭიდროდ არიან დაკავშირებული, რომ მათი განცალკევება სრულად შეუძლებელია; მეცნიერიც ხომ იგივე მოქალაქეა, მას აქვს გარკვეული თავისი შეხედულება ცხოვრებაზე, ამა თუ იმ პოლიტიკურ მიმდინარეობაზე და იმიტომაა, რომ ჩვენი სტუდენტობა ფხიზელი დარაჯია ერის ცხოვრებისა, მას არასოდეს არ შეუძლია ხელი აიღოს თავის საზოგადო აზრებზე, რომ არ გამოსთქვას თავისი რწმენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. მას დიდი მისია დააკისრა მშრომელმა კლასმა, იგი პირნათლად შეასრულებს მას, თუ დღევანდელი მთავრობის მიერ იგი გამოყვანილ იქნება იმ აუტანელ მდგომარეობიდან, რომელშიაც დღეს იმყოფება.

მართლაც ყოვლად შეუძლებელია მან შესძლოს სისტემატიურად მეცნიერების შესწავლის მოწყობა ვინაიდან იგი მოდის აუდიტორიაში სადამოობით მუშაობის შემდეგ დაღლილ-დაქანცული და ამ მდგომარეობაში ყურადღებას ვერ ადევნებს ლექციას. მეორეც მას მოკლებული აქვს საშუალება იმუშაოს ლაბორატორიაში, კლინიკაში, რადგან მას ყოველივე ამისთვის თავისუფალი დრო უნდა ჰქონდეს; მაშინ მისი და ერის ცხოვრებაც უკეთ იქნება მოწყობილი.

ამის მოსაწყობად პირველი პრაქტიკული ნაბიჯი უკვე გადასდგა დღევანდელმა მთავრობამ, მაგრამ იგი უფრო ფართო მაშტაბით უნდა მიმდინარეობდეს — სტუდენტი უნდა უზრუნველვყოთ ყოველ მხრივ ვინაიდგან ადამიანისათვის უპირველესად ყოვლისა საჭიროა ჭამასმა გამთბარი ბინა, ტანსაცმელი, რომ მან შესძლოს იაზროვნოს და მით სარგებლობა მოუტანოს მშრომელ ხალხს. ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ამ საკითხს მეტი სიფაქიზით და ყურადღებით მოეპყრობიან, ამას მოითხოვს უკიდურესი საჭიროება ინტელიგენტური ძალების რაც შეიძლება მეტათ გამრავლებისა მით უფრო მაშინ, როცა ჩვენი სტუდენტობა, რომელიც უკიდურესი დამცველია ეროვნებისა დიდ სამსახურს უწევს ქართველ მშრომელ ხალხს, რომელთანაც იგი იქნება და არის ჭირსა და ლხინში.

დათიკო ჭირევსხელი.

## პურის ფრონტზე

მთელი ქალაქი სიმშილის საშეფოში იმყოფება. რამდენიმე დღეა ხალხის უმეტეს ნაწილს პურის გემო აღარ უნახავს.

მამლის ყივილზე მიდის უამრავი ხალხი პურის საცხობებთან, სდგანან ცხრა საათამდის, შემდეგ კი ხელცარიელი ისევ უკან ბრუნდებიან, სულ ორმოციოდე ბედნიერს თუ ერგება ორ ორი გირვანქა ქად პურა, დანარჩენნი კი ისევ ღვთის ანაბარად რჩებიან.

თუ კიდევ რამდენიმე დღე გაგრძელდა ასე, ხალხის უმეტესი ნაწილი გადიქცევა მსხვერპლად სიმშილით სიკვდილისა და ათასგვარის ავადმყოფობისა.

სასურსათო კომიტეტის დაუყოვნებლივ ზრუნვას უნდა შეადგენდეს პურის ფრონტზე გამარჯვება, ვინც აქ დამარცხდება, ის სხვა ფრონტებზეც ძალა-უნებურად წააგებს ბრძოლას.

ის ფქვილი, რომელიც მოვიდა აზერბეიჯანიდან საჩქაროდ უნდა განაწილდეს ყველა რაიონებში, გაიხსნას ყველა ფურნეები და თონეები. მოწესრიგდეს ჯერი, რომ პირი საათიდგან არ ელოდეოდეს ხოლმე ხალხი.

ამ ზომების ერთი დღით დაგვიანებაც კი საშინელ სასოწარკვეთილებაში აგდებს ხალხს.

ხალხის თვალში პური ისეთი ძალი არის, რომლის წყ ლობითაც ზომავენ ყოველ გვარ წეს-წყობილებას.

უნდა სასწრაფოდ იყოს მოხმარებული ყველა საშუალება, ყველა გამოსადეგი პირი, რომ ხალხი არ დაიმშეს

## მთავრობის ბიულეტენი № 1.

1921 წ. მარტის 4.

### საქართველოს რევკომში.

საქართველოს რევკომის სხდომაზე ორახელაშვილის თავმჯდომარეობით დაადგინეს:

1) საქართველოს ს. ს. რ. სასურსათო საქმეთა სახალხო კომისრად დაინიშნოს ამხ. მ. ოკუჯავა. კოლეგიის წევრებად დაინიშნება ოთხი ამხანაგი, მაგრამ, ვინაიდან ამ ჟამად მუშაობა სწარმოებს მხოლოდ ტფილისის ფარგლებში, კოლეგიაში დაინიშნოს პერსონალურად ამხ. ერქომაიშვილი (იგივე სახ. სარ. კომ. მოადგილე) და ამხ. ამირანოვი; რაც შეეხება დანარჩენ ორ წევრს, მათ შესახებ საკითხი ჯერ-ჯერობით ღიათ იქნეს დატოვებული.

2) პურის ფასი გაუქმებულ იქნეს და მუშებსა და მოსამსახურეებს პური დაურიგდეთ უფასოთ.

3) სახალხო გვარდიის შტაბის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების ქონების აღსარიცხავად და დასაცველად რწმუნებულად დაინიშნოს ამხ. ნ. სოკოლოვსკი.

4) აზერბეიჯანის ს. ს. ს. რესპუბლიკაში მყოფ ქართველ ტყვეების შესახებ პირველ რიგში მიღებულ იქნენ დუშელები და კახელები, და ქართველები (მენშევიკები და ოფიცრები გადარჩეულ უნდა იქნენ). საქართველოს რევკომმა დაადგინა: წინადადება მისცეს სასურსათო კომისიას, რომ რკინის გზელთა სასურსათო კომიტეტის განკარგულებაში მყოფი ოთხფეხი საქონელი გადაეცეს ქალაქ ტფილისის სამხედრო საავადმყოფოებს.

### სპარსეთის გენერალური საკონსულოსაგან.

სპარსეთის გენერალური საკონსულო მთელი თავისი შემადგენლობით და თვით გენერალური კონსული მოაზზალდოვლი, დარჩნენ ტფილისში, ამ გადაწყვეტილებას ასაბუთებენ თავისი მთავრობისგან წასვლის ინსტრუქციის მიუღებლობით, მეორე მხრივ მათი მოქმედება ვრცელდებოდა მთელ კავკასიაში და ამ მომენტში მიმდინარე ამბების გამო არ შეეძლო უფრთხილოთ დადატოვებია მრავალი თავიანთი მოქალაქე სხვა და სხვა ეროვნებისა, რომლებიც დღეს ტფილისში სცხოვრობენ და ითვლება 15 ათასი კაცზე მეტი. და ბოლოს იმყოფება რა განსაკუთრებულ მეგობრულ კეთილგანწყობილ დამოკიდებულებაში საბჭოთა მთავრობასთან და აქ მდის ხედავდა რომ მათ მხრიდან ყურადღებას და კეთილ განწყობილებას თავის სახელმწიფოს და მათ მოქალაქეებისადმი, გენერალური კონსული რჩება რა ტფილისში დარწმუნებულია, რომ საქართველოს ახალი საბჭოთა მთავრობაც კეთილ განწყობილებაში იქნება, როგორც მისდამი, ისე თანა მემამულეებთან.

მარტის 2 ს სხდომაზე ტფილისის რევკომმა დაადგინა:

1. წინადადება მიეცეს პროდკომს გაადიდოს პურის ულუფა იმ პირთათვის, რომლებიც სამკურნალოთ იმყოფებიან ქალაქის საავადმყოფოებში. სურსათი საავადმყოფოებს მიეცეს ნისიათ, მანამდის, სანამ არ მოწესრიგდება მათი ფინანსიური მდგომარეობა. 2. ვინაიდგან ქალაქი ძლიერ უსუფთაოდ არის და შესაძლებელია გადამდები სენი გაჩნდეს გაზაფხულზე, წინადადება მიეცეს საექიმო, სასანიტარო ნაწილის მთავარ რწმუნებულს ამხ. კიკალეიშვილს, მიიღოს სასწრაფო ზომები ქალაქის გასასუფთავებლად ერთი კვირის განმავლობაში. 3. იმავე მთავარ რწმუნებულს მიენდოს მოგროვება (კონცენტრაცია) ერთ ალაგას ყველა სახელმწიფო და საზოგადო საფთიაქო საწყობების საქონელით, რომ ადვილი იქნეს მათი ანგარიში და მედიკამენტების დანაწილება.

საექიმო სასანიტარო ნაწილის მთავარ რწმუნებულის ამხანაგად დაინიშნა ამხ. ექიმი ი. მამულია.

### კანტორის მოხამსახურეთა კრება.

კვირას, მარტის 6-ს დილის 10 საათზე, რეალურ სასწავლებლის შენობაში, (ნაგერეჟნაია ქუჩ.) მოხდება ამხ. ბუღალტერების, კონტორშჩიკების და მოანგარიშეების საერთო კრება.

### სურსათი.

გოპროდკომმა დააწესა შემდეგი ნიხრი: ძროხის ხორცი 300 მანეთი გირ., ხორცი 350 მან. გირ., კამეჩის ხორცი 200 მან. გირ. და ღორის ხორცი, ტყავიანი — 400 მან. გირ. ეს ნიხრი დაწესებულია ერთი კვირით. გოპროდკომი სთხოვს ყველა მოქალაქეთ, დაიცვან ნიხრი, თუ ვინმემ ნიხრი დაარღვია, უნდა ეს აუწყონ გოპროდკომს, საგუბერნო ზედამხედველობას ან მილიციას.

ნარკომპროდი გადავიდა ყოფილ მომარაგების სამინისტროს ბინაზე ევანგულოვის ქ. პირველი შესავალი.

ნარკომპროდმა განკარგულება გასცა, რომ რკინის გზის მაგაზიებსა და ვაგონებში მყოფი, ანგარიშზე აყვანილი

სურსათი ნარკომპრომის საწყობებში გადაიტანონ.

ნარკომპრომი აფრთხილებს კერძო პირებს, კომიტეტებს და მოსამსახურეებს, რომ, ვინც იცის, ნარკომპრომს უნდა აუწყონ თუ სად რა საქონლის საწყობები, ფაბრიკები და ქარხნებია უპატრონოდ დარჩენილი, რათა აღრიცხვაზე იქნეს აღებული.

**პროფ. კავშირებში.**

საქართველოს პროფ. კავშირთა დროებითმა ბიურომ დაადგინა ახალი წევრებით შეავსოს იმ კავშირთა გამგეობები, რომელთა წევრებიც გაიქცნენ და მოიწვიოს საინიციატივო ჯგუფები იმ კავშირების რეორგანიზაციის მოსახდენად, რომლებიც დაინიშნა. საინიციატივო ჯგუფში მოეწყო 15 კავშირში ზოგან საინიციატივო, ჯგუფებმა მოაწყვეს საქარხნო კომიტეტები და თავის წრიდან გამოჰყვეს კიდევ ცალკე ჯგუფები, რომელნიც აღრიცხვაზე ლებულობენ წარმოებებს: მეტყავეებმა, ნემსის პროლეტარიებმა, ერზის და საპნის ქარხნის მუშებმა მბეჭდავებმა, მეთამბაქოებმა, ფარმაცევტებმა, ტრამვაიელებმა, სახალხო კავშირის მოსამსახურეებმა და რაბისმა. აღრიცხვაზე აღებულ წარმოებათა მუშებმა წინადადებით მიმართეს პროდკომს მოაწყონ სასურსათო საგნების გაანაწილება.

**ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატში.**

ფოსტის ტელეგრაფის, ტელეფონის და რადიო ტელეფონის კომისრად დაინიშნა ამხ. ჟღენტი მის თანაშემწედ მე-11 არმიის პოლიტ-ოტდელის წარმომადგენელი ამხ. გავრილოვი. საქართველოს სახალხო კავშირის მომუშავეთა საერთო კრებაზე დაადგინეს მოსკოვის, ბაქოს და ერევნის სახალხო კავშირებს გაეგზავნოთ შემდეგი დეპეშა: „აქ სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო კავშირის დროებითი რევოლუც. ც. კ. თავისი არჩევის დღეს გულწრფელ სალამს უძღვნის თავის უფროს ძმას დიად რუს. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკას ცეკანარსვიაზს, გამოთქვამს მხურვალე სურვილს მჭიდროდ დაახლოვდეს მოსკოვის ც. კ—სთან ნათესაურ კავშირისმყოფელ მუშაობისთვის, ორივე მეგობარ და მოკავშირე ქვეყნის მშრომელთა საკეთილდღეოდ.

**ქარხნებში და ფაბრიკებში.**

მარტის 1 შესდგა თაიროვისა, ალიხანოვისა და ტოლეს მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება ამხ. თუმანიანცის მომენტის შესახებ მოხსენების შემდეგ იქმნა არჩეული საქარხნო კომიტეტი თუმანიანცისა (კომ), ხარიჩევისა (კომ), მამინცევისა, (თანამგრძ.) გუმონკინისა (თანამგ.), აპკლოპაგინის (თანამგრძ.) შემადგენლობით. შემდეგ საზოგადო კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მიესალმება წითელ ლაშქარს, რომელმაც აშლენი მ. ხვერპლი გაიღო მენშევიკების ულელისაგან საქართველოს პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის. თაიროვის, ალიხანოვის და ტოლეს ქარხნების საქარხნო კომიტეტმა დაადგინა მიეცეს მუშა მოსამსახურეთ შეშა 5 ფუთი თითოს და ფული იანვარიდან 200 მანეთი. მიეცეს მათ საკოსტიუმე მატერია, რომელიც აქვს საზოგადოებას 6 და 8 ნახ. არშინამდე თითოს და ნაღდი ფული თითოს ხუთი ათასი მანეთი შესაკერად. დაურიგდეს მუშამოსამსახურეთ საცვლებისათვის 200 არშინი თითოს, 4 არშინი გაირუშვას საკომისიო გასაყიდათ სარეცხის საპონი მუშათა კოოპერატივის „ორთაჭალას" საშუალებით და მუშათა წარმომადგენლების ზედამხედველობით გაიყიდება თითო ოჯახზე ორი გირვანქა და გირვანქა 500 მანეთად.

**საბინაო განყოფილება.**

საბინაო განყოფილებამ მთელი ქალაქი დაჰყო 12 რაიონებად. ყოველ საბინაო რაიონის სათავეში დაყენებულია სარაიონო ინსპექტორი. რაიონების ინსპექტორად დანიშნული არიან. 1. შენგელაია, 2. არიშვილი, 3. ზაშილიევა 4. გაჩეჩილაძე, 5. შათირიშვილი, 6. შარიშვილი, 7. ასათიანი, 8. კუცარიძე, 9. ჭელია, 10. ემხინოვი, 11. სანებლიძე, 12. ფურცვანიძე.

**პურის განაწილება.**

ტფილისის კოოპერატივთა სარაიონო კავშირთან შესდგა ტფილისის კოოპერატივთა წარმომადგენლების კრება, კავშირის გამგეობის წევრთა თანადასწრებით მცხოვრებთა შორის პურის განაწილების შესახებ მოსალაპარაკებლად. სხდომის გახსნისას ამხ. ეროშვილმა განაცხადა: ახალი საბჭოთა მთავრობა სრული ნდობით ეკიდება კოოპერატივებს და სცნობს მას ხალხისთვის სასარგებლო დაწესებულებად. დღეს შექმნილ მდგომარეობის გამო ახალი მთავრობა გამოიყენებს კოოპერატივებს მხოლოდ მცხოვრებლების შორის პურის განაწილების საქმეში. მალე კოოპერატივებს მიენდობა მცხოვრებლებს შორის ყოველგვარ სურსათის განაწილების საქმე. ამხ. ივანიანმა გააკეთა მოხსენებაში საჭირო არის ელიარებული არსებული წესი პურის განაწილებისა, ლომ დარჩეს. მცხოვრებლებს მიეცემათ, მუშებსა და მოსამსახურეებს კი 1 გირვანქა. ფქვილის, როგორც კი შემოვა, რაციონი გადიდდება. კრებამ დაადგინა, რომ პურის განაწილების საქმე ყველა კოოპერატივებმა თავის პირველ რიგში აგრეთვე შედმეტად გაიყიდება ქალაქის იაფი პური, უმთავრესად ქალაქის განაპირა ადგილებზე კოოპერატივების „ალორძინება-ის" „ტფილისის კოოპერატივის" „ერთობის„ „ორთაჭალის" და სხ. კოოპერატივების საშუალებით.

ნარკომპრომმა ბანკის კომისარს აუწყა, რომ კოოპერატიული ბანკის საქონელი გარკომპრომმა აღრიცხვაზე აიღოთ.

**პური მცხოვრებთათვის.**

**ტფილისი.** მცხოვრებლებს პური მიეცემათ სულზე ნახევარ გირვანქა, მხოლოდ მუშა-მოსამსახურეებს სულზე 1 გირვანქა. ფქვილის მიღების შემდეგ პურის რაციონი გადიდდება.

**უფასო პური მუშებს.**

ნარკომპრომის კოლეგიამ გასცა საბრძანო განკარგულება მუშებსა და მოსამსახურეებს მარტის 4 პური უფასოდ მიეცეს სულზე 1 გირვანქა.

**მიტინგები.**

ს. ს. ს. რ. პროლეტარიატის ყველა ქვეყნისა შეერთდით.

კვირას, მარტის 6 შესდგება მიტინგები შემდეგ თემებზე:

1) რისთვის იბრძვის წითელი ჯარი.
2) საერთაშორისო მდგომარეობა და საბჭოთა საქართველო.

შემდეგ ადგილებში:

1. ნაძალადევი—მუშათა კლუბში.
2. ზუბალოვის სახალხო სახლში.
3. აქვილის აუდიტორიაში.
4. ორთაჭალის კლუბში.
5. ავლაბრის კლუბში.
6. სახელმწიფო თეატრში.
7 ალექსანდროვის ბაღში.

**ტექნიკურ ძალების რეგისტრაცია.**

სოვნარხოზის ტექნიკური განყოფილება შეუდგება საბჭოთა საქართველოს ტექნიკურ ძალების რეგისტრაციას.

**შაქრის დარიგება.**

მოკლე ხანში მუშათა მაგიდა დააწყებს შაქრის დარიგებას. ფასი შაქრისა ამ დღეებში იქნება დაწესებული.

**კერძო ბარგის მიღების წესები.**

იმის გამო, რომ კერძო პირები ხშირად მიმართავენ ნარკომპრომს, მისცეს მათ ნებართვა მათ სახელზე მოსულ საქონლის მისაღებად; ნარკომპრომი კიდევ აცხადებს, რომ ყოველი საქონელი ტფილისში მიღებული კერძო პირთა მისამართით, ეძლევათ დაუბრკოლებლივ და არავითარი ნებართვა არ არის საჭირო რის შესახებაც თავის დროზე ეცნობა რკინის გზათა ჩრეზკომ ამხან. ელბაქიძეს.

**წარმოდგენების დახაწყისი დრამატიულ თეატრში.**

სახელმწიფო დრამატიულ თეატრის კომიტეტის დადგენილებით ქართული, რუსული და სომხური დრამის წარმოდგენები დაიწყება საღამოს 7 საათზე და დასრულდება ღამის 10 საათზე.

# გრუზროსტას ბიულეტენი № 8

**ელექტრონით განათება.**

სათბობი მასალის სიმცირის გამო, ბრძანებით წინადადება ეძლევა ტფილისის ქალაქის მილიციას მიიღოს ზომები, რომ მოქალაქეებმა ელექტრონის ენერგია ეკონომიურად დაიხმარონ, თვალყური ადევნონ, რომ სავაჭროებში ელექტრონის ლამპები როგორც შიგ, ისე გარეთ მთელი დღის განმავლობაში არ ენთოს და ვიტრინების ჩაქრობილ იქნას.

**თოფიერების რეგისტრაცია.**

მარტის 4. ტფილისის კომენდანტის სამმართველომ რეგისტრაციაში გაატარა 56 ფრენოსანი და 23 სამხედრო მესაკრავე.

**სოციალური დახმარება.**

გორსპროდკომმა ქალაქის სოციალური დახმარე დაწესებულებებს მისცა 400 პურის ფუთი, მეოთხედი გირ. სულზე და სხვა სურსათიც, ამის გარდა სოციალურ დახმარების განყოფილებისთვის მისაცემად ნება დართულ 500,000 მანეთიდან მიმდინარე ხარჯისათვის 100,000 მან.

# საბჭოთა რუსეთში

გრუზკავროსტას ბიულეტენი № 7.

**რუსეთ ოსმალეთის კონფერენცია**

**მოსკოვი.** (რადიო) ამ დღეებში მოსკოვში გაიხსნა კონფერენცია რუსეთის მთავრობის წარმომადგენლების და ოსმალეთის დიდი ნაციონალურ კრებულის. მოსალოდნელია, რომ კონფერენცია დაადგენს შეთანხმების გზას და ამით ჩაეყრება საძირკველი ორ ერის შორის კავშირსა, რომელთაც ბატონობის დროში შეურიგებელ მტრების და ომისა.. (გამოტოვებულია).. მაგრამ ეს თამაში მიზანს ვერ აღწევს, რადგანაც მძარცველი და გაძარცული ვერასდროს ვერ დაელაპარაკებიან ერთმანეთს სხვა ენით თვინიერ იარაღისა მსოფლიო პოლიტიკის ბრძოლის სცენაზე გამოვიდა ახალი ჯერ კიდევ ნორჩი, მაგრამ მძლავრი ძალა რევოლიუციისა. იმპერიალიზმი არასოდეს უარს არ იტყვის ეკონომიური ბატონობაზე „ოსმალეთში" ოსმალეთის მასამ უნდა კარგად იცოდეს, თუ დაუშვებთ, რომ ზოგიერთი მელმძღვანელი ქემალისტების მოძრაობისა დასთანხმდებიან რაიმე კომპრომისზე უცხოელ იმპერიალისტებთან და სტამბოლის მთავრობასთან, შეიძლება ითქვას, რომ ასეთ არა ნამდვილ შემთხვევაში ოსმალეთის ხალხური მასები გაჰყვებოდნენ, არა ამ ხელმძღვანელებს, არამედ წავიდნენ მათ წინააღმდეგ. მსოფლიო რევოლიუცია ვითარდება სულ ფრონტზე, დასავლეთში ეს არის ბრძოლა პროლეტარიატისა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, აღმოსავლეთში კი უპირველესად ყოვლისა ბრძოლა მშრომელთა უცხოელების შევიწროვების წინააღმდეგ და ამ მსოფლიო საერთო ბრძოლის ფრონტზე საბჭოთა რუსეთი არის ერთად ერთი დასაყრდენობი ყველა შევიწროებულთათვის და ყველა მათთვის ვისაც არა სურს მონობა. არა ლონდონი, არამედ მოსკოვი: ასეთები იპოვიან ჭეშმარიტ გზას კაცობრიობის ბეონიერებისკენ.

**მძიმე გადასახადები**

**ლონდონი.** ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ ამ ჟამად ყოველი ინგლისელი იძულებულია თავისი შემოსვლის არა ნაკლებ 20 პროცენტისა სახელმწიფოს მისცეს: ამავე დროს კი ყოველი გერმანელი იხდის არა უმეტეს 12 პროცენტისა. ლოიდ-ჯორჯს ეს სამართლიანად მიაჩნია და მოითხოვს, რომ გერმანიის მოქალაქეებს ისეთივე მძიმე გადასახადები დაეკისროს, როგორც ინგლისის მოქალაქეებს.

**შეიარაღების გაძლიერება**

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა გარდინგმა განაცხადა, რომ ამერიკამ თავისი სამხედრო ფლოტი უნდა გააძლიეროს, ვინაიდან ევროპა მისწრაფის გააძლიეროს თავისი სახმელეთო და ზღვების შეიარაღებული ძალები.

# უცხოეთში

გრუზკავროსტის ბიულეტენი № 7.

**10 მილიარდი.**

**ლიონი.** მარტის 4. (რადიო) ზოგიერთი გაზეთები იუწყებიან, რომ საფრანგეთში განზრახულია 10 მილიონ ფრანკი ქაღალდის ფულის გამოშვება. ეს ცნობები საფრანგეთის ფინანსთა სამინისტროს მიერ ოფიციალურათ უარყოფილია.

**შეიარაღების გაძლიერება.** საფრანგეთის პრეზიდენტმა მილიერანმა ინახულა უმაღლესი საზღვაო სკოლა, რომლიდანაც უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში გამოვიდნენ საზღვაო წინამძღვრობის საუკეთესო წარმომადგენელი. ომის დროს ეს სკოლა წვრთნიდა განსაკუთრებით საზღვაო შტაბის ოფიცრებს. სკოლა საზღვაო სამეცნიერო ცენტრად უნდა გარდაიქმნეს. სკოლის გარდაქმნა დაევალა ადმირალ რატის რომელსაც ომის დროს ევირა თვალსაჩინო ადგილი.

**მცხოვრებლებზე გარდასახადის მომატება.**

**ლიონი.** (რადიო). საფრანგეთის მთავრობის ოფიციალურ ცნობით მცხოვრებლებიდან აღებული გადასახადის რაოდენობა დიდიძალია. 19.287.600.000 ფრანკი. ეს თანხა შეიდი ნახევარ მილიონი აღემატება 1919 წლის მცხოვრებლების პირდაპირ გადასახადით მიღებულია 858 865.000 ფრანკი, სამხედრო შემოსავლის ზედმეტი 3.089 037 000 შემოსავლის ზედმეტი--902 539 000 ფრანკი არაპირდაპირი ბეგარის აუტანლობას.

**გერმანია ანტანტის ხელშია.**

**ლიონი.** (რადიო). გენერალი ფოში ახლათ დაბეჭდილ წიგნში ამბობს, რომ, იმდროს, როცა გერმანია იძულებულ იყო ხელი მოეწერა ზავზე, სრულიათ მოკავშირეთა ხელში იყო. 18 კვირიკობისთვის გერმანელებს რეზერვში ყავდათ 65 დივიზია, მათ რიცხვში 34 ახალად გამოყვანილი; 3 მარიობისთვეს იყო 68 დივიზია, მათ რიცხვში 24 ახალდ გამოყვანილი. ოქტომბრის 1 გერმანელებს მხოლოდ 31 დივიზია და მათში მხოლოდ 14 ახლად მოყვანილი. ნოემბრის 11 გერმანელებს ყავდა მხოლოდ 17 დივიზია მათ რიცხვში ახლად გამოყვანილი ერთიდან ამგვარათ სწანს თუ რამდენათ შესუსტდა გერმანიის ძალა 18 კვირიკობისთვიდან 11 ნოემბრამდის, როდესაც გერმანიას უკვე არ შეეძლო თავის თავის დაცვა.

ამ დროს მოკავშირეთა რეზერვში 103 დივიზია ირიცხებოდა. ფრანგული პრესა ხელს გვითითებს საფრანგეთის წინამძღვარმა დიდი სულგრძელობით, რომელმაც დათანხმდა რა 2 ნოემბრის კაპიტულიაციაზე, დაიხსნა გერმანული ხალხი მკაცრ ისტორიაში არ მომხდარ მოსალოდნელ დარბევისაგან.

**გერმანიის იარაღის აყრა.**

ფრანგულე ბურჟუაზიული პრესსა დაჟინებით ურჩევს მოკავშირეთ, რომ მათ ენერგიულად უპასუხონ გერმანიის გამოწვევას. ზოგიერთი გაზეთები მოითხოვენ ეკონომიურ რეპრესიებს გერმანიისადმი. გაზეთი „ეკლერი" გამოსთქვამს, რომ საჭიროა სამხედრო გავლენა გერმანიაზე, რათა აშორებულ იქმნას გერმანიის მხრივ შეიარაღებული წინააღმდეგობა. „ეკლესიორ"-ი თავის სიხარბით კიდევ უფრო წინ იწევს და ითხოვს იმისთანა ზომების მიღებას, რომელთაც შეეძლია დაამძლიოს გერმანია და მისცეს მოკავშირეთ სერიოზული გარანტიები.

**ლორდ სესილის ოპოზიცია.**

**ლონდონი.** ჰავასის სააგენტო 2 თებერვლიდან იტყობინებიან: ლორდმა ლობერტ სესილმა განაცხადა, რომ დღევანდელ მთავრობასთან არსებულ აზრთა სხვა და სხვაობის გამო ის გადადის ოპოზიციონერთა რიცხვში.

**80,000 ფრანკი ოქრო.**

**მარსელი.** 2 თებერვალს მარსელში გემ „ჩილი"-ზე შორეულ აღმოსავლეთისაკენ გამგზავრების წინ ერთ მომავალ ზოვერს-არაბს გაჩხრეკის დროს ყუთში აღმოაჩნდა 80.000 ფრანკი ოქრო. არაბს განუცხადებია, რომ ეს ოქრო სხვა და სხვა პირების დავალებით უნდა გაეგზავნა ჩინეთში, ოქრო დააკავეს.

**ყასიდის დასჯა.**

**მონპელიე.** (საფრანგეთი) 5 თებერვალს ადგილობრივმა სასამართლომ 5 ყასიდს ბორცის ფასის აწევის გამო მესჯა 2-3 თვით ციხეში და 3.000-5.000 ფრანკი ჯარიმა დაპატიმრებულ ყასიდის მაღაზიებზე ოთხი დღის განმავლობაში უნდა წაწერილ იყოს სასამართლოს დადგენილება სასჯელის შესახებ.

**პარიზი.** ლოიდ ჯორჯის მოწოდება ეროვნულ გაერთიანების შესახებ. ლონდონელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ თებერვალს ლოიდ ჯორჯიმ მოწოდებით მიმართა უელსის ლიბერალური პარტიის ლიდერებს. მოწოდებაში ნათქვამია შექმნილ მდგომარეობის გამო მისთვის მეტად ძნელი იყო მთელი ქვეყანა მოევლო და პირადად გასცნობოდა იმ უკმაყოფილებას, რომელიც მის სახელის გარშემო გაიშმის. „დასასრულ ლ. ჯორჯიმ თავის მოწოდებაში შემდეგი დილემმა წამოაყენა: ან კოალიციასთან თანამშრომლობა ან პარტიის წინანდებურ გათიშვის მიმხრობა. უკანასკნელ სიტყვებში სჩანდა მოწოდება ეროვნულ გაერთიანებისაკენ.

**მოსკოვი ბერლინის შორის.**

**ნაუენი. 4—3.** (რადიო) 15 მარტს გაიხსნება მიმოსვლა ჰაეროპლანებით მოსკოვ.—კოვნო-ბერლინის შორის."

**პოლონეთს სწადიან ვილნოს ანექსია.**

**ნაუენი. 4—3** (რადიო) ვილნოს ყველა გაზეთები ამტკიცებენ, რომ პოლონეთს უსათუოდ სწადიან ვილნოს ანექსია.

**ლონდონის კონფერენციის გარშემო.**

**ნაუენი. 4—3.** (რადიო) დღეს გერმანიის ოფიციალურ წრეებში ლონდონის კონფერენციის შესახებ მეტათ ოპტიმისტური შეხედულობაა. ეს შეხედულობა გაზეთების მეთაურ წერილებშიაც სჩანს. ფიქრობენ, რომ ულტიმატუმით აღნიშნულ ვადის განმავლობაში გერმანია შესძლებს, ისე შესცვალოს თავისი წინადადებანი. რომ მოკავშირეთა მიერ უფრო ადვილად იქნება მისაღები. სმისმის ხაჩივრები პირველად იმის გამო, რომ მოკავშირეებმა უარჰყვეს ეს წინადადებანი რიგიანათ განუხილველად და აგრეთვე იმაზე, რომ (დამახინჯებულია) ფოშისა იარაღით ართუღლებს გერმანიის დელეგატების საქმეს ლონდონში და უპიზნოთ აშფოთებს გერმანიის საზოგადოებას.

**უნივერსიტეტი ერუსალიმში.**

**ნაუენი. 4—3.** (რადიო) ენშტეინი წავიდა ამერიკაში ერუსალიმში უნივერსიტეტის დაარსების საქმეზე.

**ქემალისტების ჯარი.**

**სტამბოლი.** „ჟურნალ დორიონი" შემდეგ ცნობებს იუწყება ოსმალეთის ნაციონალურ ჯარის შესახებ: ოსმალეთის ჯარის ნაწილები განუწყვეტლივ იზრდება. დივიზიონებში, რომლებშიაც სამი რაზმი იყო, ეხლა ოთხი რაზმია. ჯარი მშვენივრად არის ჩაცმული და საომარი მასალაც ბევრი აქვს.

**ბრძენული კომუნისტები.**

**ათენა.** საბერძნეთის ნაციონალისტები თხოულობენ ახალ ბრძოლას ოსმალეთის წინააღმდეგ. ხალხში იზრდება უკმაყოფილება ანტანტის წინააღმდეგ, რომელმაც ლონდონის კონფერენციის მოწვევით წინდაწინვე აღნიშნა სევრის პირობების ხელმეორეთ განხილვა, ეს განხილვა ამობს საბერძნეთის ინტერესებს, რომლებიც მჭიდროდ ეწირება ევროპის ახალ პოლიტიკას. ეს პოლიტიკა კი მიმართულია ოსმალეთისადმი თავაზიანობისაკენ.

**ძველი და ახალი ოსმალეთი.**

**სტამბოლი.** ოსმალეთის მთავრობამ მოიწვია საგანგებო კრება ანგორის მონაწილეობით. კრებაზე თათბირი იმის შესახებ იყო თუ რა ზომები იქმნეს მიღებული ანატოლიიდან საბერძნეთის ჯარისა და კილიკიიდან საფრანგეთის ჯარის ევაკუაციისთვის.

**ქემალ ფაშის უფლებათა აღდგენა.**

**სტამბოლი.** ოსმალეთის მთავრობამ მიიღო დეკრეტი, რომლის ძალითაც ქემალ ფაშა და ეროვნულ მოძრაობის მეთაურები აღდგენილ იქმნენ ყველა პოლიტიკურ და ქონებრივ უფლებებში.

რედაქტორი თუდო ღლონტი.
გამოცემა დრ. მთავარი კომიტეტისა.

სტამბა „სახალხო საქმე" ცოლოთუბნის ქუჩა № 14.